

F 158 № 260

ბერძნული
ტიპოგრაფია

საქართველო

სურათებიანი ლაგაზა

ბაზეთის № 1

ლაგაზა № 1

კვირა, 1 იანვარი, 1917 წ.

~~F 158 № 260~~ № 70

№ 70
F 260



ქველი და ახალი წელიწადი.



ახალი წელი. ნახატი კრ—ისა.

ლურჯი თვალი

ლურჯი თვალი, ლურჯი მზერა შევშუბა და ისარა ვით აპრილი, ვით ყვავილი, შუქურა და ცისკარა, როგორც ორი ლურჯი ტბა ცისარტყელით ხეული, შევ ლურჯამთა ქალაში, ნაზად. გამომწყვდეული..

შიგ ღალატიც არა სჩანს, იქვიც არ იმალება, შიგ იანი ჰკრთებიან და მთვარის ბრწყინვალეობა.

შიგან ერთად ციკვავენ: ციცილი ტალღა, მაისი. შიგ სიკვდილთან სიცოცხლე შეფობს შენართაული. —აჰა, ჩემი საუნჯე და ჩემი სამკაული:—

თვალი ლურჯად ქებული, ლურჯად გამომზირალი, ხან ვერცხლოვან ღიმილით, ხან ნისლივით მტირალი;

და მზე თვალთა ცილით, მარად გავიმსჭვალეები ცას ცისკარი ანათებს, ჩემს გულს—შენი თვალეები.

წახველი... და ნახველი დამიტოვე ნაღველი. ცისკარი-ლა მშთენია, შენი გამომსახველი.

და გიგონებ ვით მამულს მგზავრი უცხოეთიდან, შენი შორი ნათელი სევდას ასხვანაირებს— და შორეულ ქვეთინით გიწყობ სულის შაირებს!..

გ. ლეონიძე.

მეც არ ვიცი რისთვის მოველ

მეც არ ვიცი, რისთვის მოველ ყვავილების თაიგულით; შენ კი, ვინ უწყს, რას არ აწერ ჩემს აქ მოსვლას სიხარულით!

ჩუმათ, ჩუმათ, ხმას ნუ რღებ, ფრთხილად, სხვამ არ გაიგონოს, რადგან, ვინ უწყს, რა არა სთქვას, ვინ უწყს, რა არ მომიგონოს!..

ქნარი.

ნუ სტირი!

ბედო, მუხთალო, სიყრმითვე რომ ამირიე გზა-კვალი და მეპურობოდი ყოველთვის, ვით გულქვა დედინაცვალი: ჯერ კარით-კარზე მატარე, როგორც გლაზაკი, საწყალი, და სანატრელად მიქციე კვლავ ჩემი მიწა და წყალი,

გთხოვ, მიყავ ერთიმეც სიკეთე ამდენი ჰირის მნიხველსა, შევ ხედრისაგან დანხნელად მხოლოდ სიკვდილის მსახველსა, და სიტყვას მაინც ნუ მიწყვეტ, ნუ მიორკეცებ ნაღველსა, ნუ მისპობ სიცოცხლის მიზანს, ერთად-ერთს, უკანასკნელსა!

მსურს, თუნდ შორიდან, მივმართო საყვარელ მშობელ მხარესა, ვანუგეშ-მივეუსამძიმრო, ვით დედას მგლოვიარესა, რომ აღარ დაეჩაგვინოს სამუდამოდ სევდას მწარესა, და, უიმედო, არ ღვრიდეს კვლავ მხოლოდ ცრემლებს, ცხარესა!

„სამშობლოვ, ჩემო ღვთაებავ, ნუ სტირი მამაც შეილებსა, ათასობითა შენს ძვირფას მკერდიდან მოწყვეტილებსა და სადღაც, ცხრა მთას გადაღმა უწყალოდ დახოცილებსა, მოწამეობის ზრწყინვალე გვარგვინით შემკობილებსა!

„იცოდე, მათი ზღვა სისხლი ტყუილად ვერ დარღვრება,— შენს დამზრალ ფესვებს მაცოცხლებ წვეთებად დაედინება, რომ, როს ქვეყანას მშვიდობის მადლი კვლავ მოეფინება, განახლებულსა შენც გვრგოს აყვავებ-ალორძინება!

„ნუ სტირი,—დედამ, ბედშავმა, იტიროს უნდა ის შეილი, ვისაც უმზავესი ყოფნა ხვდა და უმზავესივე სიკვდილი, მათი მსხვერპლი-კი, შენთვისა და მოელ ქვეყნისთვის მოძღვნილი, მარად იქნება დიდების შარავანდელით მოსილი!

„ნუ სტირი,—გლოვა—კი არა, შეგშენის მხიარულება, რომ ამდენ ღნისა შენს ნატვრას მოელის აწ ასრულება: დღეს იქედნება, ხომ ჰხიდავ, ჩაგრულ ერთ თავისუფლება და თვისს სიკვდილით შენ გმირ შევლთ შენც მოგცეს ამის უფლება!

„მაშ, უკუაგდე ნაღველი, შესწყვიტე ოხვრა, ტირილი და ამცნე ყველას, რომ ტყველად შენ მოგიგონეს სიკვდილი; რომ ცხოველმყოფელ ძალღონით ხარ ძველებურად აღდგნილი, და, თავისუფალს, სხვებს შორის შენც უნდა გაქნეს კვლავ წილი!..

დუბუ მეგრელი.

1916 წ. ქ. ერევანი.



ცეკვა ძველს საქართველოში

ნახ. ირაკლი თოიძისა.

მეგალი

(თავორით)

27

მაინცა გწამდეს სიყვარული უძვირფასესო,
თუნდ სევდის მეტი არაფერი არ მოგიტანოს,
ეგ შენი გული, არ მიჰხურო და არ დაჰკეტო...

გული არსებობს სულის ტოლო, მხოლოდ მისათვის,
რომ სხვას გადასცე ცრემლთა ფრქვევით და სამღერებით.

მეტად ბნელია, მეგობარო, შენი სიტყვები,
რა ვქნა, არას გზით აღარ ძალმიძს მათი გაგება!.

მე დილის ცვარნამს, მივასგავსე ბედნიერება;
თუ გაილიმებს მხიარულად, მალეც გაჰქრება..
მაგრამ ნაღველი ძლიერი და თან მუდმივი...

დე შენს თვალბში, სიყვარულმა უკანასკნელად,
იღუმალ სევდით და ნაღველით გაიცემციმოს...

ახ! მეგობარო, ბნელი არის შენი სიტყვები,
რა ვქნა, არას გზით აღარ ძალმიძს მათი გაგება!.

მზეზე ლოტოს იფურჩქნება პირმშვენიერი,
და ისეე ჰკარგავს ყველაფერსა, რითაც კი ჰშვენის..

ხომ არ დარჩება თავის ყლორტში: ჩუმად უსიტყვოდ,
ხომ არ დაღრება, სამუდამო, საზამთრო ნისლში...

—„ახ! მეგობარო, ბნელი არის შენი სიტყვები,
რა ვქნა არას გზით აღარ ძალმიძს მათი გაგება!“

28

სევდიანია, აგზნებული შენი თვალები,
ჰსურთ ჩასწვდნენ ვითვე ჩემ სულსა და ჩემსა გონებსა.—
როგორც ზღვის სიღრმე, ზომავს მთვარე სხივ-დარაზმული..

ჩემი სიცოცხლე განვაშიშვლე შენს თვალთა წინა,
და არაფერი არ დაფარე, არც დავაკელი..—
აი მისათვის, ვერ მიცანი ჩემო ძვირფასო..

ეგ ყოფილიყო—ქვა ლამაზი, უძვირფასესი,
მე გავსტეხავდი შენს წინაშე ათას ნაჭრებად,—
მათგან ასხმულ ძეკვს, ყელზე ნაზად ჩამოგკიდებდი..

რომ ყოფილიყო, ეს—ყვავილი სურნელოვანი,
ჩამოვწყვეტავდი და ნაწნავში გაგიკეთებდი..

მაგრამ გულია—საყვარელო, უ-ვირფასესო,
სადა აქვს სიღრმე, ან სად არის მისი ნაპირი?.

შენ ხომ არ იცი, ამ სამეფოს ვრცელი საზღვარი,
თუმცა მისი ხარ, დედოფალი და მბრძანებელი..

რომ ყოფილიყო, მხოლოდ წამი სიტკბობისა,
სუბუქ ღიმილში უნაზესად აჰყვავდებოდა,
და შენ, ერთს წუთში, შეიძლებდა იმის დანახვას.

რომ ყოფილიყო მხოლოდ ერთად ერთი ტკივილი,
ის გადნებოდა ნელი ჩქერით, ნათელ ცრემლებში—
გამოჰკრთებოდა საიდუმლო თვისგან აღთქმული..

მაგრამ ეს არის—სიყვარული უძვირფასესო,
მისი სიტკბო და ტკივილები უსაზღვრო არი,
დაუსრულებელს ეძახიან იმის სიმღიღრეს..

იგი ახლოა შენთან, როგორც შენი სიცოცხლე,
მაგრამ ვერას დროს ვერ გაიგებ და ვერ მისწვდები..

29

გამესაუბრე საყვარელო, გამესაუბრე,
სიტყვებით მითხარ, რასაც ახლა ნაზად მღეროდი..

ღამეა ბნელი..

ქარი ჰკენის ფოთოლთა შორის,
გზა დაჰბნევიდა შავ ღრუბლებში ვარსკვლავთა წყებას.

მე თმებს დავიშლი..
მტრედისფერი წამოსასხამი გადამეხვევა, როგორც ღამე
ჩაბნელებული.


მკედრში ჩავიკრავ შენს თავს ნაზად განმარტოებით,
იქ მომასმინე შენი გულის ნაზი ჩურჩული—
თვალბს დავხუჭავ, ყურს დავიგდებ, არ შემოგხედავ..

როს დაჰარულდება, მშვენიერი შენი მოთხოობა,
ჩუმად ვისხდებით შებოქვილნი იღუმალებით..
მხოლოდ ხეები, გაჰმართავენ წყვილიაღში ჩურჩულს...

და გაფითრდები შუაღამე...—
განთიადისას—
განცვიფრებულნი ჩვენ შეგხედავთ ერთი მეორეს.
და შემდეგ წავალთ.. დავშორდებით სხვადასხვა გზებით..

გამესაუბრე საყვარელო, გამესაუბრე,
სიტყვით მიაჰბე, რასაც ახლა ნაზად მღეროდი!.

გ. ლეონიძე



შავი დედოფალი

სიზმრად ვნახე მზის დედოფალს ტანთ ემოსა შავი შხიმე და მის ახლო უბედობას გაეთხარა ბნელი მღვიმე.

გარს ეკალი შემორტყმოდა, ვერცხლის ფერად ცრემლსა სთოვდა, გულზე შავი ღამე აწვა, მზის ამოსვლას შველას სთხოვდა.

თმა-ნაწნავი ჩამოშლოდა, შუბლს უქობდა ყვავილ-ნარი, ტურზე ღიმი შეშრობოდა, სამუდამოდ ჩამომკნარი.

იღვა ისეთ სასიკეთო, როგორც ნაზი შემოდგომა, და ეხლაც კი მაგონდება შავ გიშროვან თვალთა კრთომა.

ფეიცავ ზეცას, ვერვინ წაშლის ჩემ ხსოვნიდან მის სიტურფეს. ამბობენ, რომ იგი ქალი მოეწონა ვილაც მეფეს.

წაიყვანა და შორსა ჰყავს, შავ კუნძულზე დასამარხად, ველარავინ ვერ მისულან საშველად და დასანახად.

და ბურანში ჩემ ძახილით მთა და ბარი შევაჯერე, ყველას ფუთხარ ეს სიზმარი, მაგრამ ვერვინ დავაჯერე.

ი. დაროშვილი.



პრპ. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მამამთავრიშვილი მოკლულია კავკასიის ფრონტზე.

მაგრამ მთელი მისი ცხოვრება და განსაკუთრებით მისი ტრაგედიული ხვედრი ბევრს რასმეს საგულისხმოს გვეუბნება და ამიტომ მისი საჯაროთ გამოფენა არც თუ მთლად გვაწყენს.

ეს კაცო გახლავთ თავადი ზაქარია, იგივე შაქრო, იოსების ძე ანდრონიკაშვილი, კახეთში ჯამბარისად ცნობილი.

დიდი ცვარის და დიდი ოჯახის შთამომავალი, ოდესღაც დიდ-ძალი მამულეზის მებატონე.

„ჯამბარა“, აღმოსავლეთ საქართველოში ცუდამ იცის, რომ გუთანზე მობჟულ საყვრის ჯაჭქსა ჰქვიან. ასეთი გაკიმილი, გრძელი იყო თურმე შაქროს პაპა, ქიზიყის მოურავი ზაქარია და ხალხმაც მაც ჯამბარა შეარქვა, მხოლოდ მის შთამომავლობას „ჯამბარაშვილები“, მაგრამ ეს „შვილი“ ახალმოდურათ კიდეც გადაკეთდა და ბოლოს დარჩა ჯამბარაჩი.

განსაკუთრებით კი შაქროს შერჩა ეს სახელი:

„შაქრო ჯამბარ ჩი“.

მას კახეთში ანდრონიკაშვილად ნაკლებ იხსენიებდნენ, ხოლო ხსენებული წოდება კი პირველ ხანებში მანც ყოველ კახელს წარმოუდგენდა ჩვენებურს, უღარდელს, ქეიფის მოყვარულს ახალგაზდა თავაღსა.

ეს ხომ ჩვეულებრივი ტიპია, მაგრამ ბუნებით კვიანი, გონება-მახვილი და საქციელით რაინდი ჯამბარაჩი ყოველ საზოგადოებაში იყო სასურველი და მისაღები. მას ყველა იცნობდა, დიდი და პატარა, თავადი და გლეხი და ყველასათვის სამური იყო მასთან ყოფნა, მასთან „დროს გატარება“.

უფროდ ეს უღარდელი, ეს თითქო მხოლოდ ქეიფისა და მხიარულებისათვის გაჩენილი კაცი, ჰქვიდება ხელს საქმიანობას, ეწევა მეურნეობას, ესახლება და ეხლა ამ მხრითაც იქცევს სოფლის ყურადღებას: მასთან მოდიან რჩევის საკითხავად, მას ანდობენ დიდი მამულის მართვა-გამგეობას და სხვა.

მისი ხასიათი მანც უცვლელია. ისევე-ის გონება-მახვილი, ამხანაგთა თანაზიარი ჰქრსა და ლხინში,

იგივე „პურადი, მხენ და გულადი“ შაქრო ჯამბარაჩი!

კახეთში რომ გეკითხვათ—სიღნაღის მაზრაში ვინ არის ვაჟკაციო?—სხვა პირველთა შორის უთუოდ მაგაზე მიგითითებდნენ.

შაქრო ჯამბარაჩი?

ეს სახელი პოპულიარულია, ეს სახელი საყვარელია.

მაგრამ ეს კიდეც არა... მას ახლო იცნობდა, ისიც იცნო, რომ შაქრო, თუ კა ამას გაიგებდა და მის ყურამდე მიადწევდა, ყოველთვის მზად იყო საზოგადო, კულტურულ საქმიანობისთვისაც ნივთიერად, თუ პარადის გარჯით ხელი მოემართნა. დაუზარებელი, მიმხვედრი და გზაგაგნებული.

ყველა ამას მიტომ ვიხსენიებთ, რომ ჩვენდა საგალალოდ, ჩვენს სოფლებში იშვიათია ესეთი ტიპი და ისიც იმ წოდებაში, რომელსაც ჯამბარაჩი ეკუთვნის.

მას კი მიმბაძველებიც გაუჩნდნენ მის კუთხეში.

ჩვენებური თავადი თუ მოქიფე, ამ ქეიფს გადაჰყვება, თუ მფლანგავა, ძირაან-ფესვიანად მოსპობს თავისთავსა და არამც თუ საზოგადო საქმეებისათვის ზრუნვა შეიძლოს, არამედ თავის თავიც კი შეზიზღებია და ან სადმე რესტორანში გაიფუჭებს თავს, ან ციმიბირის სანახებს მოინახულებს.

შაქრო კი არ იყო ამგვარი. ისიც სწორედ თავდაპირველად ჩვეულებრივ, გატყეპილს გზას ადგა, მაგრამ მისმა ძლიერმა ნებისყოფამ ბოლოს მანც შრომა უჩრია და თავის კერას დაუბრუნა.

აქ კი მოხდა საშინელი, გაუგებარი რამ.

გახეთებში წაიკითხავდით: 11 ოქტომბერს, წნორის აფთიაქში თ. ზაქარია ანდრონიკაშვილს აზოტის სიმე-უფე შეასხეს და დააბრმავესო.

რასაკვირველია, მთავრობის გამოძიება სინამდლიეს გამოარკვევს.

ისე კი, კერძოთ, უკვე იმავე გაზეთებში ვიცი, რომ თავადი ზაქარია თვით არაფერ შუაშია, მაგრამ აქ კიდეც ერთს სახასიათო მოვლენასთან გვაქვს საქმე.

ხმები დადის, ვითომ კახეთში ამ ქაშად ავაზაკობა იმდენათ არის გავრცელებული, რომ უბრალო მცხოვრებნი მთავრობას ვერ დაუტყავს და ყველა ცდილობს, რითაც შეუძლიან, ისე დაიფაროს თავიო.

სხვათა შორის, წნორის აფთიაქსაც ასეთი საშინელი სიმეფაფეები მისთვის აქვს მუღაჲ მზათ, რომ ავაზაკებს დაუხვდნენო.

მაშასადამე, ჯამბარაჩიც აფთიაქში ვერ შეცნეს, ავაზაკ ეგონათ და უბედურ შემთხვევის ძსხვეპული გახდაო.

თუნდ ასეც იყოს, რა საშინელ დროში ვცხოვრობთ!

არავინ არის ჩვენი პატრონი.

გარეთ ომის საშინელებას ვერ აუვედით, შინ ავაზაკებისაგან არავინ გვიცავს, სოფელი წამოტოვებულია, სრული ანარქიაა და ჩვენც ბრალიანი და უბრალო ვეღარ გაგვირჩევია.

აი ნამდვილი ტრაგედია ჩვენი დღევანდელი ყოფისა და აი ერთი მსხვერპლი ერთი ტრაგედიისა:

პატროსანი, გამრჯე, მშრომელი, კვიანი, ნაცნობთა საყვარელი, მახვილი და ოხუნჯი

ჩვენი შაქრო ჯამბარაჩი!

შ. დ

დედას ლაგანდა

კენესი!.. გულსაკლავად კენესი!.. ვინა ხარ? ხმა გამე!.. ეს ვალა ხარხარებს?.. ბოროტებით აღვსილა!.. გული შემზარა, გული!.. ეგა ვინა ხარ?.. კიდევ კენესა!.. გული დამიმძიმა, ბოღმა-ვარამით ამავსო!.. კიდევ ხარხარი!.. ხარხარი! ვეფაგული ხარხარი! შურის მძიებელი!.. კენესა! ხარხარი!.. ხარხარი! კენესა! გულსაკლავი კენესა!.. ვინა ხართ, ვინა?.. ხალხნო აწამებენ! გესმით!.. შანთებს უყრიან, შანთებს! ნაკვერჩხალზე აყენებენ!.. შუქი ნოკეით!.. მთვარე, ამოდი! ვარსკვლავნო, შეერთდით! შეერთდით და მომინათეთ! ბნელა!.. სტანჯავენ!.. მთვარე ამოდის, მთვარე! უკუნეთი დაირღვა... ნაფლეთებად იქცა. ვარსკვლავნი შეერთდნენ!.. დამშვიდდი გულო, დამშვიდდი!.. არ მეზორჩილები? ეს ხომ მხოლოდ ლანდი იყო, ლანდი ბნელ-უკუნეთისაგან გამოწვეული!.. მანც მიტირი? აბა რასა გრძნობ? მითხარი, რასა გრძნობ!.. ისევე გავიგონე.. კენესა და ხარხარი არა თავდება, არა!.. სად არის, სადა?.. ვარდის ბუჩქი!.. ვარდო შენ კენესი?.. დედოფალთ დედოფალი, რა გლონებს?.. რა იქნა ვარდი? არ არის... ტურფა ასული!.. ვინა ხარ მშვენიერი? ცრემლთა ღვარები ვინ ჩამოგადინა? გულს ალი ვინ აღვადვა?.. ეგა! ვინ ხარხარებ, ვინა?.. ტურფავ, სხეულში მანთები ვინ გავყარა?.. ოჰ! რა საშინელი აოსება!.. ბასრი ფრჩხილები, ცეცხლის თვალები... თავი ანებე თავი, ტურფასა!.. არ გესმის? რაო?.. სისხლის მსმელი სიტყვები!.. მინდა დაგხარხოვო... მინდა გაკენესო... სუთ! ტურფა ალაპარაკდა. გულო დედეკი, ნუ ხმაურობ! ქნარის სიმების ხმა მინდა გავიგონო... ტურფა გამხნევდა... ჰა?.. დაოჰო!.. საზარელი არსება ტურფას დაა?.. ტურფა გაკაჟდა!.. ღმერთო, რას ამბობს! წუთიერი იყოვო! ვეღარ დასტკბები ჩემი სისუსტითაო. კენესით სული მოვიბრუნეო!.. გამიყარე ბასრი ბრკყალები, გამიყარეო!.. ტურფა დაჩუმა... საზარელ არსებას ძალა გამოეღა... ხარხარი მიწყდა... ისევე ვაოდის ბუჩქი... ყვავილთა დედოფალი აღერსიანად თავს მიქნევს... გული დაწყნარდა... ვარდს

წავეტანე... გამომეღვიძა. სიზმარი ყოფლა... დედის ნამბობი გამახსენდა... ორი და ყოფილა, ერთი ღამეში, ღამეში როგორც ანგელოზი და სიკეთით აღსავაჲ, მეორე ბოროტი, ბოროტი სატანანებერ. ერთი სულ სიკეთესა სთესავდა, მეორე ბოროტებასა. კეთილი და ბოროტი დის საქმეებს აქარწყლებდა, ბოროტი და კეთილი დისას. კეთილი და ბოროტსა სჯობნიდა. ბოროტი გაჯავრდა და კეთილი და ნაკუწ-ნაკუწად დასქრა დანითა. ნაკუწები ბუჩქად გადქვენენ. ბუჩქმა საუცხოვო ყვავილები გამოიბა. ეს ყვავილები ვარდებო იყო. ადამიანები მოდიოდნენ და ყვავილთა სურნელებით თავს იკურნავდნენ. ბოროტმა დამ ვეღარ მოითმინა ეკლებად იქცა და ვარდის ბუჩქს შემოეფლო. ვარდს მკურნალობის ძალა დაუკარგა. ბუჩქი აკენესდა. სხეულში საზარელი კლანჭები იგრძნო. მთელი დედამიწის ზურგი ცოდვით აიგსო. ბოროტმა დამ ქვეყანას ხარხარით აუწყა, გავიმარჯვეო. მაგრამ ვარდის ბუჩქმა მალე გული მოიმთავრა და ბოროტს არსებას შესძახა:

— არა, ვერ გავიმარჯვე!.. შენ გინდა, დარ, ჩემი კენესით და კივლით დასტკბე? არა, არ დასტკბები! არ დაგატკობ! ეს ჩემი კენესა წუთიერი იყო, მე ამით ამოვისუნთქე, სული მოვიბრუნე, ტკივლები დავამე. გავრუმიდები და ჩემი სხეულისათვის შენი კლანჭები დაჩლუნგდება. შენი კენესა უძლური კენესა იქნება.

ვარდის ბუჩქი გაჩუმადა. ბოროტებს ძალა წაერთვა და ხარხარი შესწყვიტა. თურმე ბავშვობისას გაგონილი ლეგენდა დღეს სიზმრად მომგლინებოდა.

ინ—ბანი.

„ჯამბარაჩი“


მკითხველთა უმრავლესობა ამ სახელს ვერ იცნობს.

მხოლოდ კახეთში გაიგებენ, ვინც იგულისხმება ამ სახელით. განსაკუთრებით სიღნაღის მაზრაში და ალაზან-გაღმა.

ეს კაცი არ იყო არც მგოსანი, არც ლიტერატორი და არც საზოგადო მოღვაწე.

ერთი ჩვეულებრივი ბინადარი იყო ამ წუთი-სოფლისა.

ნადირობა ეროგაზე



კურდღელს ესვრიან ..



კურდღელმაც ესროლა!..



ბეტმან-ბოლღევი: მე ამ ზავს გავუშვებ და ვისაც
ჰსურს, დაიჭიროს!

ჩამორეცხილი ფრესკები



თედო დლონტი.



ი. გედევანიშვილი.



არ. ჯაფანაშვილი.